ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

13

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ,
1961 Წ.
№ 79 (1776)
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-17 ᲬᲔᲚᲘ
ᲤᲐᲡᲘ 8 ᲙᲞ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲒᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირები მოსკოვში, დონის როსტოვში, ლვოვსა და ციურიხში აღინიშნება საბჭოთა მოჭადრაკეების წარმატებით.

მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საერთაშორისო ტურნირში თავიდან ლიდერობდა სმისლოვი. თითქოს მას არავინ ეცილებოდა პირველობაში, მაგრამ მოსკოვის ახალგაზრდა ჩემპიონი ვასიუკოვი ენერგიული თამაშით დაეწია სმისლოვს. თუ ვინ იქნებოდა პირველი, უნდა გაერკვია შეჯიბრების დასკვნით ტურს. მაგრამ ვერც ამან გამოამჟღავნა გამარჯვებული, რადგან კონკურენტებმა ამ დღეს ვერ მოასწრეს პარტიების დამთავრება. სმისლოვს არონინთან საყაიმო პოზიცია აქვს, ხოლო ვასიუკოვს მოგების შანსები.

დონის როსტოვში წინ გაჭრილ ნეიმეტდინოვს ფეხდაფეხ მისდევდა ტაიმანოვი. საკმარისი იყო ფინიშზე ერთი დამარცხება, რომ მას გაუსწრო ტაიმანოვმა. შემდეგ ნეიმეტდინოვმა ვეღარ გამოასწორა მდგომარეობა. ტურნირი დამთავრდა ტაიმანოვის გამარჯვებით — 8 ქულა 11-დან. ნეიმეტდინოვს დაეწია ომსკელი ტარასოვი და მათ 7,5 ქულით თვითეულმა გაიყვეს მეორე-მესამე ადგილები.

ბრწყინვალე თამაში გამოაელინა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა სავონმა, რომელმაც ლვოვში ჭაბუკების საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა. ოსტატმა სავონმა ყველა პარტია მოიგო ერთის გარდა, რომელიც ყაიმით დაამთავრა.

ნიჭიერი ჭაბუკი ახლო მომავალში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო პირველობაში ჭაბუკებს შორის.

ციურიხის საერთაშორისო ტურნირიც დასასრულს უახლოვდება. აქ პირველი ადგილისათვის ბრძოლა კვლავ კერესსა და პეტროსიანს შორის მიმდინარეობს. ცხრა ტურის შემდეგ კერესს — 7,5 ქულა აქვს, პეტროსიანს — 7, ხოლო იუგოსლაველ გლიგორიჩს — 5 ქულა.

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐᲡ

ჩვენს რესპუბლიკაში კარგა ხანია მომწიფდა ფიზიკური კულტურის მუზეუმის დაარსების საკითხი. საამისოდ ყველა პირობები მოიპოვება: მძლავრი ფიზკულტურული მოძრაობა, სპორტსმენთა მაღალი ტექნიკური მაჩვენებლები, ფიზკულტურული კადრების სიუხვე, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლა, მდიდარი ისტორიული წარსული და სხვ.

ამ საკითხს საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა დროულად მიაქცია ყურადღება და ამ რამდენიმე წლის წინათ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც მიენდო მუზეუმის საკითხის დამუშავება. სამწუხაროდ, კომისიამ, რომლის შემადგენლობაში საკმაოდ გამოცდილი და ავტორიტეტული პიროვნებები შედიოდნენ, სრული უმოქმედობა გამოიჩინა და არაფერი გაუკეთებია.

თუ დამოუკიდებლად მუზეუმის გახსნა ძნელი იქნება, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი დაარსება საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტთან, სადაც მოიპოვება სათანადო კადრები ამ საქმის წარსამართავად; საჭირო იქნება მხოლოდ ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვაში მუზეუმის ხარჯების გათვალისწინება.

მ. ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ,
დოცენტი.

ძნელი და რთული რელიეფის გადალახვა უხდებათ მოტოციკლისტებს კროსის დროს. ასეთ დისტანციაზე საკმარისი არაა მხოლოდ მაღალი ტექნიკა. სპორტსმენი დისტანციას უშეცდომოდ გაივლის იმ შემთხვევაში, თუ იგი ფიზიკურადაც კარგად იქნება მომზადებული შეჯიბრებისათვის. ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: მოტოციკლისტები რთული ტრასის ერთ-ერთ მონაკვეთზე.

ფოტო ვ. ᲢᲣᲢᲝᲕᲘᲡᲐ

ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ფრენბურთში — ზ. ალხაზაშვილს (ქუთაისი, „სპარტაკი“), სათხილამურო სპორტში — ლ. ფანჯაკიძეს (ბაკურიანი), ფეხბურთში — ა. ფეიქრიშვილს (თბილისი, „სპარტაკი“), მძლეოსნობაში — ა. კონსტანტინოვს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), ცურვაში — ი. ბაქრაძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), ტანვარჯიშში — ს. ბალიაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი“).

ᲮᲣᲗᲘ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘ

ბელგრადში დამთავრდა ევროპის პირველობის გათამაშება კრიში, რომელშიც მონაწილეობდა 21 ქვეყნის 146 წარმომადგენელი.

ბრწყინვალედ ჩაატარეს ტურნირი საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა. მათ მოიპოვეს ხუთი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი. ასეთმა დიდმა წარმატებამ ჩვენს მოკრივეებს გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გასვლის საშუალება მისცა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ჩემპიონატში 35 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი 14 ქულით წილად ხვდა იტალიის ეროვნულ ნაკრებს. იტალიელებმა მოიპოვეს ოქროს ორი და ერთი ვერცხლის მედალი. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ პოლონეთის (12 ქულა) და იუგოსლავიის (9 ქულა) გუნდები.

ვინ გახდნენ ჩემპიონები ჩვენს გუნდში? ს. სიეკო (მჩატე წონა), ა. ტუმინში (პირველი ქვესაშუალო წონა), რ. ტამულისი (მეორე ქვესაშუალო წონა), ბ. ლაგუტინი (პირველი საშუალო წონა), ა. აბრამოვი (მძიმე წონა). განსაკუთრებით კარგად ჩაატარა ფინალური ბრძოლა ბ. ლაგუტინმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის ნეიდელის წინააღმდეგ. საბჭოთა მოკრივემ ბრძოლის პირველსავე წუთზე ხელთ იგდო ინიციატივა და რამდენიმე ძლიერი შეტევა განახორციელა. გერმანელი მოკრივე მთლიანად დაცვაზე გადავიდა. ერთ-ერთი მძლავრი იერიშის დროს ლაგუტინმა ძლიერი დარტყმით მოწინააღმდეგე ნოკაუტში გაგზავნა. ჩვენს გუნდში ვერცხლის მედლები მოიპოვეს ვ. სტოლნიკოვმა (უმჩატესი წონა), ა. ზასუხინმა (ქვემსუბუქი წონა) და ე. ფეოფანოვმა (მეორე საშუალო წონა).

წონითი კატეგორიების მიხედვით სატურნირო ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: უმჩატესი— 1. ვაჯა (იტალია), 2. სტოლნიკოვი (სსრკ), მჩატე — 1. სიეკო (სსრკ), 2. გუტმანი (პოლონეთი), ქვემსუბუქი—1. ტეილორი (ინგლისი), 2. ზასუხინი (სსრკ), მსუბუქი—1. მაკ-ტეგერტი (შოტლანდია), 2. ბენედეკი (იუგოსლავია), პირველი ქვესაშუალო—1. ტუმინში (სსრკ), 2. მეხოვიჩი (იუგოსლავია), მეორე ქვესაშუალო — 1. ტამულისი (სსრკ), 2. მაიერი (შვეიცარია), პირველი საშუალო—1. ლაგუტინი (სსრკ), 2. ნეიდელი (გდრ), მეორე საშუალო — 1. ვალასეკი (პოლონეთი), 2.. ფეოფანოვი (სსრკ), ქვემძიმე—1. სარაუდი (იტალია), 2. ნეგრია (რუმინეთი), მძიმე — 1. აბრამოვი (სსრკ), 2. პენა (იტალია).



ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 1961 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲠᲔ.

მისი შედეგების მიმოხილვა, ცალკეული მატჩების ანალიზი საჭიროებს გულდასმით, საგანგებო განხილვას, მაგრამ ჩვენი დღევანდელი საუბარი შეეხება მხოლოდ ერთ გუნდს ჩემპიონატში მონაწილე 22-დან — თბილისის „დინამოს“.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებაში სრულიად კანონიერ შეშფოთებას იწვევს საქართველოს საუკეთესო გუნდის — თბილისის „დინამოს“ უკიდურესად სუსტი, მდარე თამაში. ეს შეშფოთება გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ პირველი წრის დასასრულისათვის თბილისელები გაჭირვებით მოხვდნენ პირველ ხუთეულში და არასახარბიელო პერსპექტივები აქვთ მომდინარე გათამაშებაში. საგანგაშოა ის, რომ დინამოელთა თამაშში სულ უფროდაუფრო ხელშესახებია იმ შესანიშნავი ტრადიციებიდან გადახრის სიმპტომები, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში, თაობიდან თაობამდე ქმნიდნენ საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები და რომლებსაც ასე კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ქართული ფეხბურთის პრესტიჟი, ქართული ფეხბურთის ბედი უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა მის მრავალრიცხოვან გულშემატკივართათვის, აქიტომ გულგრილობის გამოჩენა სადღეისოდ შექმნილი საგანგაშო მდგომარეობისადმი ჩვენს გუნდში მიუტევებელი შეცდომა იქნება, რომლის გამოსწორება შემდგომში შეიძლება უკვე გვიანი იყოს.

1959 წელს თბილისის დინამოელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს საბჭოთა კავშირის პირველობა, აჩვენეს მეტად საინტერესო, ორიგინალური თამაში და მესამე ადგილი დაიკავეს გათამაშებაში. ქებას და ხოტბას, კომპლიმენტებს ბოლო არ უჩანდა გაზეთებში, ხოლო ტრიბუნაზე გაუთავებლად ლაპარაკობდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა „გმირობაზე“. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ აქა-იქ გაისმოდა ფხიზელი ხმები, რომ ასეთ თაბუშეუკავებელ, უზომო ქებას ზიანის მოტანა შეუძლია, რომ მან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ახალგაზრდა სპორტსმენებზე, გააყოყოჩოს ისინი და თვითდამშვიდება გამოიწვიოს მათს შორის.

1960 წლის გათამაშებაზ დინამოელებმა ცუდად ჩაატარეს, მე-8 ადგილი დაიკავეს და მხოლოდ ფინალში აჩვენეს ნამდვილი დიდი ფეხბურთი, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო მათი პოტენციური შესაძლებლობანი, ცხადყო, რომ გუნდს შეუძლია გაცილებით უკეთ თამაში, თუ მისი წევრები მაქსიმალურ მონდომებასა და ენერგიას გამოიჩენენ არა მარტო ისეთ „პრემიერაზე“, როგორიცაა თასის ფინალი, არამედ მთელი სეზონის მანძილზე — 7-8 თვის განმავლობაში.

მაგრამ 7-8 თვის განმავლობაში კარგად თამაში ესაა შრომა, რომელიც მოითხოვს ძალთა სრულ დაძაბვას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ოფლის ღვრა კი, ეტყობა, დინამოელებს „არ მოსწონთ“.

რესპუბლიკური სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა არაერთხელ იმსჯელა იმის შესახებ, რომ გუნდში ხშირად აქვს ადგილი მოთამაშეთა მიერ სპორტული და საყოფაცხოვრებო რეჟიმის, დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. საჭირო ხდება ხოლმე საგანგებო ზომების მიღება იმისათვის, რომ მოთამაშეები სათანადო სერიოზულობით და კეთილსინდისიერებით მოეპყრან საწვრთნელ მეცადინეობებს და იზრუნონ თავიანთი სპორტული ფორმის ამაღლებისათვის (თავის დროზე სასჯელი დაედოთ ე. თორაძეს, ჯ. ზეინკლიშვილს, ბ. სიჭინავას და სხვებს). საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „ა“ კლასის ფეხბურთელს თიოქმის ადმინისტრაციული წესით აიძულებენ ივარჯიშოს ისე, როგორც ამას მოითხოვს უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენისადმი წაყენებული ელემენტარული ნორმები.

ის, რომ „დინამოში“ ყველაფერი წესრიგზე არ იყო, ნათლად შეიმჩნეოდა წლევანდელი სეზონის დასაწყისშივე. მოთამაშეთა უმეტესობა არ იყო ფორმაში, „გუნდი თამაშობდა დიდი შეცდომებით, ნელ ტემპში, ჩვეული აგრესიის გარეშე და მიუხედავად იმისა, რომ დინამოელებმა ზედიზედ მოიგეს სამივე პირველი მატჩი, არასპეციალისტებიც კი კარგად ამჩნევდნენ, რომ ეს იყო არასრულფასოვანი

(დასასრული მე-2 გვ.).

„ა“ კლასში

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 13 ივნისისათვის

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ მ.	10	8	1	1	16:6	17
„ავანგარდი“ ხ.	11	6	3	2	12:8	15
სკა როსტ.	11	5	2	4	20:12	12
„დინამო“ თბ.	11	5	2	4	16:11	12
„ნეფტიანიკი“ ბ.	11	4	4	3	11:10	12
„ლოკომოტ“ მ.	11	4	4	3	16:17	12
„შახტიორი“ სტ.	11	3	4	4	9:14	10
„ადმირალტ.“ ლ.	11	4	1	6	10:13	9
„ტრუდი“ ვორ.	11	2	4	5	7:11	8
„დაუგავა“ რ.	11	2	3	6	11:16	7
„სპარტაკი“ ვ.	11	1	4	6	10:20	6

II ჯგუფი

მდგომარეობა 13 ივნისისათვის

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	11	7	2	2	28:16	16
„დინამო“ კ.	10	7	1	2	22:9	15
„სპარტაკი“ მ.	9	5	3	1	19:8	13
„პახტაკორი“ ტ.	10	5	3	2	20.19	13
„დინამო“ მ.	11	4	3	4	17:17	11
„მოლდოვა“ კიშ.	11	3	3	5	21:20	9
„სპარტაკი“ ერ.	10	2	5	3	16:18	9
„კაირატი“ ა-ტა.	10	3	3	4	12:18	9
„ზენიტი“ ლ.	10	3	3	4	14:19	9
„ბელარუსი“ მნ.	11	2	2	7	11:19	6
„კალევი“ ტალ.	11	0	4	7	9:26	4

I ჯგუფი

„სპარტაკი“ (ვილნიუსი)-ცსკა (როსტოვი) — 1:2.
„დაუგავა“ (რიგა)-„შახტიორი“ (სტალინო) — 1:2.
„ტრუდი“ (ვორონეჟი)-„ნეფტი ანიკი“ (ბაქო) — 1:0.

II ჯგუფი

„დინამო“ (მოსკოვი)-„პახტაკორი (ტაშკენტი) — 2:2.
„კალევი“ (ტალინი)-ცსკა — 0:4.
„ბელარუსი“ (მინსკი)-„მოლდოვა“ (კიშინოვი) — 1:1.

ქართული ფეხბურთის ღირსებისათვის

(დასასრული)

გამარჯვებები სუსტ მეტოქეებზე. იყო ქულები, მაგრამ არ ჩანდა თამაში.

ამ ნაკლოვანებებმა თავი იჩინა მაშინვე, როგორც კი გუნდი გაემგზავრა მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე სათამაშოდ. მთელი ამ ტურნეს შედეგები ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას: 2 ქულა 12 შესაძლებლიდან! ძნელი წარმოსადგენია, რომ შეიძლებოდეს ამაზე ცუდად თამაში. მოსკოვის, როსტოვის, ხარკოვის, ბაქოს, სტალინოსა და ვორონეჟის სტადიონებზე დინამოელებმა გაიტანეს სულ სამი ბურთი და აქედან ერთი გატანილი იქნა ვორონეჟის „ტრუდის“ ნახევარმცველის უშუალო მონაწილეობით!

თბილისელთა თამაშში აუარებელი წუნია. ზოგჯერ გასაოცარია პირდაპირ, როცა უყურებ ოსტატთა კატეგორიის ტექნიკურად მომზადებულ ფეხბურთელს, რომელიც სრულიად თავისუფალი მდგომარეობიდანაც კი ვერ აწვდის ბურთს გვერდიმდგომ პარტნიორს. ჩვენ აღარას ვამბობთ ტაქტიკურ გადაცემებზე, რომლებიც ძნელი შესასრულებელია ტექნიკურადაც და მოსაზრების მხრივაც. ლაპარაკია ელემენტარულ მიწოდებებზე, რომელთა მისამართი 100-პროცენტიანი სიზუსტისა უნდა იყოს. ეს ჩვენს გუნდში განუკურნელელ, ქრონიკულ ავადმყოფობად იქცა. ზოგიერთი მოთამაშე სიზუსტეს ვერ იცავს გაჩერებული, სტანდარტული მდგომარეობიდან მიწოდების დროსაც კი.

ყველაფერი ეს შედეგია იმისა, რომ გუნდმა ცუდად ჩაატარა წინასასეზონო მზადება. როგორც ჩანს, დინამოელთა ყოფილი მთავარი მწვრთნელი ა. ეორდანია და მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი სრული პასუხისმგებლობით და სწორად არ მიუდგნენ მზადების ამ მეტად მნიშვნელოვან პერიოდს, დაკარგულის აღდგენა კი ახლა მნიშვნელოვნად გაძნელებულია.

თბილისელი ფეხბურთელები ერთ დროს თავდასხმაში ადგილების ცვლის ნოვატორები იყვნენ. ამ დაგეგმილ „უწესრიგობას“ ფორვარდებს შორის, რომელიც სრულდებოდა სწრაფად, მოულოდნელად, დიდი ეფექტით, ყოველთვის დეზორგანიზაცია შეაქონდა მოწინააღმდეგის დაცვის რიგებში. ახლა „დინამოს“ თავდამსხმელები თამაშობენ პრინციპით: „მე — ჩემი, შენ — შენი“, თამაშობენ საბლონურად, ყოველგვარი გამომგონებლობის გარეშე, თითქმის არც ერთი ძათგანი არ სცილდება თავის ზონას. ამიტომაა, რომ ჩვენი გუნდის წინ. ხაზის საერთო მოქმედება გაუფერულდა, მისმა შემტევმა ძალამ მოიკლო და მოწინააღმდეგის დაცვისათვის აღარ წარმოადგენს მრისხანე ძალას.

უწინ სწორედ სისწრაფე, ტემპი და აგრესია იყო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი კოზირი, ახლა ეს უპირატესობა ჩვენ დავკარგეთ და „ა“ კლასის ბევრ გუნდს ჩამოვრჩებით ტემპში. მართალია, დროდადრო მატჩის მსვლელობაში გაიელვებს ხოლმე ძველებური ტემპერამენტი, მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი აქვს, დაახლოებით 10-15 წუთი, რის შემდეგ იწყება ბურთის გაუთავებელი ღეჭვა, ტარება, უსარგებლო და უთავბოლო მოძრაობა.

თანამედროვე ფეხბურთში წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია, თუ გუნდს არა ჰყავს მაღალი კლასის, კვალიფიცირებული ნახევარდაცვა. ესაა გუნდის სულა და გული. მინდვრის შუაგულში წყდება გამარჯვების საკითხი. თბილისის დინამოელებს ძალზე ცუდად აქვთ საქმე ამ უმნიშვნელოვანეს რგოლში, მოუწესრიგებელია შუამარბებისა და ნახევარმცველების კონტაქტის საქმე და ამის გამო შუა მოედანზე ინიციატივა ყოველთვის მოწინააღმდეგეს აქვს ხოლმე.

რაც უნდა ძლიერი მოთამაშეებით იყოს დაკომპლექტებული კოლექტივი, თუ იგი არ გამოავლენს უკიდურეს მონდომებასა და ბრძოლისუნარიანობას, თუ თავის მთელ შესაძლებლობებს არ მიხცემს გამარჯვებისათვის ბრძოლას მატჩის პირველი წუთიდან ბოლომდე. შედეგი არ იქნება. ამ პუნქტში ჩვენი ფეხბურთელები ძალზე სცოდავენ. ბევრი მათგანისათვის უცხოა თავგანწირვა, ერთგულება საერთო ინტერესებისათვის. მაუურებელი ხშირადაა იმის მოწმე, რომ მოთამაშეები მშრალი მაისურებით გამოდიან მინდვრიდან. „დინამოში“ მაგალითად, წლების განმავლობაში ირიცხებოდა ი. კურტანიძე, რომელსაც არც ერთხელ არ მოსურვებია ეთამაშა ისე, რომ დაღლილი და გაოფლიანებული გასულიყო მინდვრიდან. მას ყოველთვის ერჩივნა „პენსიაზე“ ყოფნა.

განა უაღრესად ცუდ ფორმაში არ არიან ახლა მელაშვილი, ბარქაია, ზეინკლიშვილი, იამანიძე, თორაძე, ბ. სიჭინავა, ხუნდაძე და სხვანი? რომელი მათგანი ფიქრობს იმაზე, რომ გამოასწოროს მდგომარეობა, ათამაშდეს სრული ძალით, მოეხმაროს კოლექტივს? ვფიქრობთ, არც ერთი. ყოველ შემთხვევაში თამაშში ეს არა ჩანს.

კოლექტივში ცუდადაა დაყენებული საერთო ფიზიკური მომზადებისა და, კერძოდ, საექიმო კონტროლის საქმე. გუნდის ერთ-ერთი წამყვანი თოთამაშე ვ. ბარქაია ყოველ სეზონში სისტემატურად არ თამაშობს 2-3 თვე ტრავმების გამო. ე. თორაძე შარშან რამდენიმე თვე მოუნდა უმნიშვნელო ტრავმის მკურნალობას, რომლის მორჩენასაც ფაქტიურად გაცილებით ნაკლები დრო სჭირდებოდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ იგი არ იცავდა სამედიცინო რეჟიმს, მაგრამ როცა მოახლოვდა გუნდის საზღვარგარეთ გამგზავრების დრო, თორაძე სასწრაფოდ გამოჯანმრთელდა.

„დინამოში“ არასათანადო ყურადღება ექცევა რეზერვების აღზრდის საქმეს. არაერთხელ დაკომპლექტებულა დუბლიორთა შემადგენლობა, ნიჭიერი, პერსპექტიული მოთამაშეებით, მაგრამ წლები გადის და ძირითად შემადგენლობაში მათ იშვიათად ვხედავთ. ბევრი მათგანი სხვაგან პოულობს ხოლმე მეტ ყურადღებას და აკლდება კოლექტივს.

გუნდის მწვრთნელები იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე ატარებდნენ თეორიული ხასიათის ტაქტიკურ მეცადინეობებს და ისიც არაკვალიფიციურად. ზერელედ კოლექტივთან მუშაობის ეს განაყოფი ძირითადად ამოიწურება მატჩების გარჩევით და ცალკეული დავალებებით მოთამაშეთა მიმართ. ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ჩამორჩნენ ფეხბურთის კანონთა ტარების დღევანდელ დონეს და არც იჩენენ მისწრაფებას აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია, საერთო მოზადების დონე. საერთო ერუდიცია.

აშკარად მოიკოჭლებს სასწავლო-საწვრთნელი პროცესი და საქმეში ჩარევა უხდებათ ზემდგომ ორგანოებს, რათა სპორტსმენებმა კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი წვრთნის დროს. განა მოსათმენია ის, რომ თბილისის „დინამოს“ მარჯვენა გარეკარი თ. მელაშვილი ყოველი ორი კუთხური მოწოდებიდან ერთს კარს უკან აგზავნის, ხოლო ერთსაც მოწინააღმდეგეს აძლევს? ვარჯიშობს იგი ამ ელემენტის დახვეწაზე? ვფიქრობთ, არა.

წლიდან წლამდე მეტად სუსტად თამაშობს ჩვენი გუნდის დაცვა. ვინ იცის, რამდენი თამაში წაგვგია იმის გამო, რომ დაცვაში არაა შესაფერისი ურთიერთმოქმედება, შეთამაშება და ცალკეულ ფეხბურთელთა მხრივ ადგილი აქვს ისეთ შეცდომებს, რომლებიც მოწინააღმდეგეს საშუალებას აძლევენ ბურთი გაიტანონ მეორეხარისხოვანი, უმნიშვნელო იერიშებიდანაც კი. საერთაშორისო ფეხბურთის ტაქტიკაში ბოლო ხანებში დიდი ძვრები მოხდა. შემოვიდა ახალი სისტემები, 4+2+4, 3+3+4 და სხვ. ჩვენი გუნდის მწვრთნელები კი ჯიუტად დგანან ძველი „დუბლ-ვეს“ სისტემაზე და ფეხს არ იცვლიან იქიდან. და ეს მაშინ, როცა ჩვენს დაცვას სასწრაფო და გადაუდებელი „ოპერაცია“ ჭირდება.

გუნდში დღეს კატასტროფულად დგას მეკარის საკითხი. ძირითადი მეკარე — ს. კოტრიკაძე რამდენიმე წელია შეუცვლელად თამაშობს, ხშირად ტრავმირებულიცაა ხოლმე, მაგრამ მისი ტოლფასოვანი შემცვლელი საერთოდ არაა. ეს გარემოება მით უფრო დასანანია, რომ საუკეთესო მეკარეები, რომლებიც საქართველოში ადიზარდნენ და რომელთა გამოყენება შეიძლებოდა, დღეს სხვა გუნდებში თამაშობენ. ასეთებია ვ. ივანოვი — ცსკა-ში, ი. ფროლოვი (ჩვენი ცნობილი ფეხბურთელის ბ. ფროლოვის ვაჟი) — მოსკოვის „სპარტაკში“, ა. კავაზაშვილი — მოსკოვის „ტორპედოში“, ცხადია, რომ კარგად ვერ ვუვლით ჩვენს კადრებს.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს დიღომში აქვთ საწვრთნელი ბაზა, რომლის მაგვარი თითქმის არაა მთელს კავშირში. აქ შეიძლება ნამდვილი — საფეხბურთო ლაბორატორიის მოწყობა, მაგრამ იგი სანახევროდ გამოუყენებელია. გათავდება პროგრამით გათვალისწინებული ორი „აკადემიური“ სავარჯიშო საათი და მინდორზე ვერ ნახავთ ვერც ერთ მწვრთნელსა და ფეხბურთელს, რომელიც ინდივიდუალურად, საკუთარი სურვილით ვარჯიშობდეს და ხვეწდეს რაიმე ელემენტს.

ეს მწარე სიტყვები ჩვენ მწარე სინამდვილემ გვათქმევინა. დღეს თბილისის „დინამოში“ ისე წავიდა საქმე, რომ თუ ახლავე, დაუყოვნებლივ არ მოვკიდეთ ხელი მდგომარეობის გამოსწორებას, მერე გვიანი იქნება. დინამოელებს არ აკლიათ ყურადღება და სიყვარული ხალხისაგან და მათ უნდა გაამართლონ კიდეც ეს საყოველთაო პატივისცემა. ჩვენ გვიყვარს ჩვენი საუკეთესო გუნდი და არა ფეხბურთელები, რომლებიც გულდამშვიდებით ურიგდებიან 12 შესაძლებლიდან 2 ქულის აღებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თბილისის „დინამოს“ გუნდს ამ ბოლო ხანებში გაურნდნენ „გულშემატკივრები“, რომლებიც თავიანთი თავშეუკავებელი, უფრო სწორად, თავხედური „სიყვარულით“, ყოველგვარ ზომას გადასული თაყვანისცემით მოლიპულ გზაზე აყენებენ სუსტი ნებისყოფის ფეხბურთელებს, დაპყავთ ისინი ქალაქგარეთ, აძალებენ მაგარ სასმელებს, აყოყოჩებენ. ასეთი გულშემატკივრები უნდა მოვაცილოთ გუნდს, მოვაცილოთ ცალკეულ ფეხბურთელებს. ამას მოითხოვს ქართული სპორტის შემდგომი აღორძინებას წმიდა საქმე.

დაბოლოს, ჩვენ გვინდა მივმართოთ „დინამოს“ ახალ ხელმძღვანელობას, რომ მან გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული საკითხები, ყოველივანალიზი გაუკეთოს წინა სეზონების შეცდომებს, შექმნას მონოლითური კოლექტივი, მაღალ დონეზე დააყენოს ფეხბურთელთა შეგნებულობა წვრთნისა და შეჯიბრების მიმართ, დაამყაროს მტკიცე სპორტული და საყოფაცხოვრებო დისციპლინა, აღადგინოს ქართული ფეხბურთის მდიდარი ტრადიციები.

გუშინდელი მოგება მდგომარეობას არ ცვლის. „ადმირალტეეცის“ დამარცხება თბილისის „დინამოსათვის“ არასოდეს არ იყო პრობლემა. მ აკ-რი ბრძოლ ი წინ არის.

გუშინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ლენინგრადში მეორე წრის პირველ ტურში შეხვდა „ადმირალტეეცს“. „დინამოს“ შემადგენლობაში იყვნენ: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი. როგორც პირველი ტაიმი, ასევე მეორეც თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ნახევრის 31-ე წუთზე შ. იამანიძემ მოატყუა ოთხი ლენინგრადელი და გადაწოდა ვ. ბარქაიას, რომელმაც ბურთი [illegible] 1:0.

თამაშის მეორე ნახევრის მეორე წუთზე კალევ [illegible] ლენინგრადელთა [illegible] მოთამაშეს და მძიმე მდგომარეობიდან შემოტრიალებით ურტყამს ლენინგრადელთა კარში — 2:0. დანარჩენი დრო კვლავ დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და როცა თამაშის დამთავრებას 12 წუთი აკლდა. ლენინგრადელთა მცველი ტიხომიროვი ხელით შეეხო ბურთს. მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. კალოევმა კარგად გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა და ანგარიში გახდა 3:0 დინამოელთა სასარგებლოდ. დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა.

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 79 (1715)

ჩემპიონატი სპრინტერებმა გახსნეს



△

სურათებზე: (ზევით) — სპრინტერული რბოლის მონაწილენი დისტანციაზე. (ქვევით) — სპრინტში გამარჯვებული თბილისელი ველოსიპედისტი ვ. შახპარონიანი და მისი მწვრთნელი სპორტის ოსტატი ვ. ჯონჯოლიანი საუბრობენ სტარტის წინ.

△

გასულ კვირას, თბილისის ველოტრეკზე დაიწყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ველოსპორტში.

ჩემპიონატი გახსნეს სპრინტერული რბოლის მონაწილეებმა. ქალთა შორის ბრძოლა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის სამ თბილისელ ველოსიპედისტს — ვ. შახპარონიანს, ი. სტაშევსკაიას, ზ. კორჩაგინას და ბათუმელ სპორტის ოსტატ ვ. იურკინას შორის გაიმართა.

ფინალები მოეწყო სამატჩო სისტემით, შახპარონიანმა დაუძაბავად ჩამოიტოვა უკან ჯერ სტაშევსკაია, ხოლო შემდეგ კორჩაგინა. ორი გამარჯვება ჰქონდა ფინალში ბათუმელ იურკინასაც და აი შახპარონიანი და იურკინა შეხვდნენ ერთმანეთს გადამწყვეტ ბრძოლაში. მატჩი მოიგო თბილისელმა ველოსიპედისტმა და გაინაღდა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილზე გამოვიდა იურკინა, ხოლო მესამეზე—სტაშევსკაია. კორჩაგინა მეოთხე ადგილზე დარჩა.

ვაჟთა სპრინტერული რბოლის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს რესპუბლიკის უძლიერესმა ველოსიპედისტებმა, თბილისელებმა ი. იუხნევიჩმა, დ. ბატაშვილმა, ი. ისმაილოვმა და ო. აჯიაშვილმა. პირველსავე მატჩმა იუხნევიჩსა და დ. ბატაშვილს შორის ცხადყო, რომ იუხნევიჩი კარგ სპორტულ ფორმაშია (მან ამას წინათ მოიგო სპრინტერული რბოლა მეორე ჯგუფის გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში) და რომ მას მაინცდამაინც არ გაუჭირდება უძლიერესის პრესტიჟის დაცვა.

პირველ [illegible] ბრძოლაში [illegible] ... ბრძოლა [illegible] ... ბრძოლ [illegible] ... ბრძოლ [illegible] ... ბრძოლ



სურათებზე: (ზემოთ) სპორტის ოსტატი ვ. იურკინა, რომელმაც მოიგო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ პრიზი ველოსპორტში, (ქვემოთ) ამავე შეჯიბრებაში გამარჯვებული ო. ნიშნიანიძე.

ფოტოები პ. კეგაბჩიანისა

ამერიკის ხელისუფლება შეშფოთებულია

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე მოსვლისთანავე ჯონ კენედიმ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება თავის ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე. მან ყოველკვირეულ გაზეთში „სპორტის ილუსტრეიტედში“ დაბეჭდა წერილი, რომელშიც ფართო კომენტარები გაუკეთა ახალგაზრდების ფიზიკურ მომზადებას.

პრეზიდენტი ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით კატეგორიულად აცხადებს, რომ შეერთებული შტატების ახალგაზრდობა ფიზიკური მომზადებულობის ხარისხით საგრძნობლად ჩამორჩება ევროპის ახალგაზრდობას. ამერიკელი ახალგაზრდების დიდი ნაწილი უვარგისია სამხედრო სამსახურისათვის. სწორედ ამიტომ გაზეთმა „ნიუიორკ ტაიმსმა“ შეშფოთებით აღნიშნა, რომ 1958 წელს სამხედრო ვალდებულთა 66 პროცენტი სამხედრო სამსახურისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა ფიზიკური, გონებრივი, ან მორალური მოსაზრებებით. ერთი წლის შემდეგ ეს ციფრი 75 პროცენტამდე გაიზარდა.

ასეთსავე მდგომარეობაშია უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა ფიზიკური მდგომარეობა. კენედიმ აღნიშნა, რომ 1951 წელს იელსის უნივერსიტეტში შედარებით ადვილი გამოცდა ფიზიკურ მომზადებაზე პირველკურსელთა ნახევარმა ვერ ჩააბარა. 1956 წელს იმავე უნივერსიტეტში ჩაჭრილთა ციფრი 57 პროცენტამდე ავიდა, ხოლო 1960 წელს — 62 პროცენტამდე.

პრიზიორები გამოვლინდნენ

„შრომითი რეზერვების“ სტადიონზე 11 ივნისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების მოსწავლეთა XIV რესპუბლიკური სპარტაკიადა.

სპარტაკიადაში მონაწილეობას თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ფოთის, წულუკიძის, სურამის, სოფ. ენისელისა და სხვათა ფიზკულტურული კოლექტივების 1.350 სპორტსმენი.

შეჯიბრება ტარდება სპორტის 19 სახეობაში. დაიწყო ასპარეზობა კალათბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ტანვარჯიშში, წყალბურთში, მძლეოსნობაში.

საკმაოდ ძლიერი სპორტსმენებით წარსდგნენ სპარტაკიადაზე გასული წლის ჩემპიონი — თბილისის რკინიგზის № 1 სასწავლებელი და № 6 სახელოსნო სასწავლებელი, რომელთა შორისაც მიმდინარეობს ძირითადად ბრძოლა პირველობისათვის.

უკვე დაამთავრეს შეჯიბრება აკრობატებმა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა წილად ხვდა რკინიგზის № 1 სასწავლებლის კოლექტივს. მომდევნო ადგილზე გამოვიდნენ თბილისის № 6 და № 11 სახელოსნო სასწავლებლების გუნდები.

სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება ჰაბუკთა შორის დაიმსახურეს: მოზრდილთა პირველ თანრიგში — № 6 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე ო. გულულაშვილმა, მოზარდთა პირველ თანრიგში — რკინიგზის № 1 სასწავლებლის აღსაზრდელმა ნ. შარმანაშვილმა. გოგონათა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა თბილისის № 23 სახელოსნო სასწავლებლის წარმომადგენელი გ. ჭელიძე.

წარმატებას მიაღწიეს რკინიგზის № 1 სასწავლებლის კალათბურთელებმაც, რომლებმაც ანგარიშით 120:43 დაამარცხეს № 5 პროფტექნიკური სასწავლებლის კალათბურთელები. აღსანიშნავია აგრეთვე სოფელ ენისელის სახელოსნო სასწავლებლის კალათბურთელთა გუნდის გამარჯვება ქუთაისის № 4 სასწავლებლის გუნდზე — 35-28, თბილისის № 2 რკინიგზის სასწავლებლის კალათბურთელებმა მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს სურამის № 1 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდი — 35:31.

წყალბურთში მონაწილე 4 გუნდიდან პირველ შეხვედრაში დიდი ანგარიშით — 12:0 გაიმარჯვა თბილისის № 6 სახელოსნო სასწავლებელმა ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის გუნდთან. თბილისის № 5 სახელოსნო სასწავლებლის გუნდმა ასევე „მშრალი“ ანგარიშით — 5:0 დაამარცხა რკინიგზის № 2 სასწავლებელი.

ფეხბურთში კვლავ გამოიჩინეს თავი სოფელ ენისელის სახელოსნო სასწავლებლის სპორტსმენებმა. მათი ფეხბურთელები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ თბილისის № 5 სახელოსნო სასწავლებლის გუნდზე და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 8:2.

ი. რუხაძე,
ა. ბარნოვი.

მიმდინარეობს სპარტაკიადები

სროლა

პროფკავშირთა თბილისის III საქალაქო სპარტაკიადაზე დამთავრდა შეჯიბრება მძლეოსნობაში. მომდევნო ორ დღეს სახარბიელო მაინცდამაინც არაფერი ყოფილა. მხოლოდ ორი პირველი თანრიგისა და 12 მეორე თანრიგის შედეგი ნათლად მეტყველებს ფიზკულტურული კოლექტივების მძლეოსანთა მომზადების დაბალ დონეზე.

მეორე ჯგუფის კოლექტივებიდან ყველას აჯობეს ელდეპოს, ელექტრო-ავტომატისა და აბრეშუმის ფაბრიკის მძლეოსნებმა, III ჯგუფში — ძაფსაღები ფაბრიკის სპორტსმენებმა.

ბაზის მოუწყობლობის გამო ტყვიით მსროლელები დაგვიანებით ჩაებნენ შეჯიბრებაში. „ტყეკომბინატის“ გუნდი შეჯიბრებაზე 3 სპორტსმენით გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, რომ განაცხადში 6 სპორტსმენი ჰყავდათ, ხოლო მოსულებმაც მოვალეობის მოხდის მიზნით ისროლეს და ნ. ამირიძემ 100-დან 68 ქულა მოაგროვა, ი. სალომბეკოვმა — 59, ზ. თუშიშვილმა — 42 (!). სროლაში გამარჯვებული გუნდები გამოვლინდება ორი კვირის შემდეგ.

ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ფრენბურთელმა ქალებმა დაამარცხეს თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა — 2:0 და ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა — 2:1, ვაჟებმა სძლიეს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს — 2:0.

კალათბურთი

კალათბურთში შეხვედრათა შედეგები ასეთია: ქალები — „გამარჯვება“-ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა — 53:31; ტრანსპორტის მთავარი სამმართველო-სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი — 77:59. ვაჟები. — ტრანსპორტის მთავარი სამმართველო-მე-7 სამკერვალო ფაბრიკა—51:29; პლასტმასის ქარხ.-მაუდ-კამოლის კომბინატი 62:43, „გამარჯვება“-თბილისის ავტო-სარემონტო ქარხანა — 63:37; ორთქმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდმა მოუგო სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს — 60:20 და ელმავალმშენებელ ქარხანას — 104:46.

საქართველოს მოსწავლეთა XIII სპარტაკიადა

წყალი ხტომა — 17-22 ივნისი — ფიზკულტურელის პარკი.

კალათბურთი — 20-29 ივნისი — კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანი.

ჩოგბურთი — 21-30 ივნისი — „დინამოს“ კორტები.

ბადრაკი — 13-23 ივნისი — საჭადრაკო კლუბი.

ფეხბურთი — 15-25 ივნისი — თბილისის ოფიცერთა სპორტული კლუბის სტადიონი.

ცურვა — 16-20 ივნისი — ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი.

ფრენბურთი — 23-29 ივნისი — „განთიადის“ მოედნები.

წყალბურთი — 25 VI—2 VII — ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზი.

მაგიდის ჩოგბურთი — 15-22 ივნისი — ფიზკულტურის ინსტიტუტი.

ტანვარჯიში — 19-25 ივნისი — ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული დარბაზი.

სროლა — 17-22 ივნისი — ავჭალის სახროლეთი.

ნიჩბოსნობა — 17-22 ივნისი — თბილისის ზღვა.

ველოსპორტი — 24-30 ივნისი — რუსთავის გზატკეცილი.

მძლეოსნობა — 21-26 ივნისი — ბათუმის „დინამოს“ სტადიონი.

შეჯიბრების დასაწყისი 10 და 17 საათზე.

* * *

პირველი და უკანასკნელი რიცხვები გუნდების ჩამოსვლისა და გამგზავრების დღეებია.

სპარტაკიადის ოფიციალური გახსნა შედგება 24 ივნისს „ბურევესტნიკის“ სტადიონზე.

მაგჩი ბრაზილიელებთან

18 ივნისს, მოსკოვში, შეხვდა ერთმანეთს ერთმანეთი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში სსრ კავშირისა და თურქეთის გუნდებს შორის. განელილ კვირას სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა გუნდმა საწვრთნელი მატჩი ჩაატარა ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფ ბრაზილიის „გრემიოსთან“.

მეტად საინტერესო მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა სასარგებლოდ. ანგარიშით 2:0. გუნდი თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: მასლაჩენკო, მედკინი, მასლიონკინი, ჩოხელი, ვორონინი, მანოშინი, მეტრეველი, ბატანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

ბურთები გაიტანეს მეტრეველმა და ბატანოვმა.

არგენტინელები ჩამოვლენ მოსკოვში

24 ივნისს, მოსკოვში ითამაშებს არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრები. ივი შეხვდება საბჭოთა კავშირის ნაკრებს.

პირველი შეხვედრა არგენტინელებმა მოუგეს ლისაბონში პორტუგალიის ნაკრებს — 2:0. ამის შემდეგ ისინი გაემგზავრებიან ესპანეთში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, საიდანაც ეწვევიან საბჭოთა კავშირს. საბჭოთა კავშირიდან არგენტინელები გაემგზავრებიან რუმინეთში.

სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი

1960-61 წლების საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ ინგლისელმა ჟურნალისტებმა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად გამოაცხადეს „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ კაპიტანი, გამოჩენილი ნახევარმცველი დანი ბლენჩფლაუერი, რომელიც ამავე დროს ირლანდიის ნაკრების კაპიტანიცაა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბლენჩფლაუერი მომავალი სეზონიდან თამაშს აღარ აპირებს.

რედაქტორი ი. უგულავა.



17-18
ივნისი



პოლონეთი-საქართველო

დასაწყისი 19 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომწვევების — 8-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03964